

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		12/31/2020	12/31/2019	1/1/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	2,293,164	2,422,283	2,331,744
არამატერიალური აქტივები		11,050	13,000	16,359
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში				497,877
მისაღები პროცენტები	2	693,147	276,673	254,689
გაცემული სესხები	3	4,863,740	4,296,774	3,860,070
		7,861,101	7,008,730	6,960,739
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	3,027,109	1,648,220	4,434,941
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	788,955	668,566	927,487
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	14,396	15,620	117,766
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		29,280	12,946	19,847
სხვა მოკლევადიანი აქტივები				50,312
		3,859,739	2,345,352	5,550,353
მთლიანი აქტივები		11,720,840	9,354,082	12,511,092
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,068,548	1,068,548	1,068,548
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9,158,390	6,844,506	3,479,729
სხვა რეზერვები		1,169,304	1,169,304	1,169,304
		11,396,242	9,082,358	5,717,581
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				4,579,601
გადასახდელი პროცენტი				1,944,762
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	7			
		-	-	6,524,363
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	251,009	226,094	226,834
საგადასახადო ვალდებულებები	9	73,589	45,630	42,314
		324,598	271,724	269,148
მთლიანი ვალდებულებები		324,598	271,724	6,793,511
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,720,840	9,354,083	12,511,092

თორნიკე ბოჭორიშვილი

მპს „მაუდი“-ს დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	4,904,624	5,485,891
თვითღირებულება	-1,224	-1,996
საერთო მოგება	4,903,400	5,483,895
სხვა შემოსავლები	483,289	413,656
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	-1,854,482	-2,200,829
მიწოდების დანახარჯები		
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		
სხვა ხარჯები	-66,181	-483,438
საოპერაციო მოგება	3,466,026	3,213,283
ფინანსური შემოსავალი	899,335	151,493
ფინანსური ხარჯი		
ფინანსური ხარჯი - წმინდა	899,335	151,493
მოგება დაბეგვრამდე	4,365,362	3,364,776
მოგების გადასახადი	-307,721	
წმინდა მოგება	4,057,641	3,364,776
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების		
გადაფასებიდან,		
გადასახადების გამოკლებით		
მთლიანი სრული შემოსავალი	4,057,641	3,364,776

თორნიკე ბოჭორიშვილი

შპს „მაუდი“-ს დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მაუდი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 30/08/1996-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელმაც 17/04/2019-ში განიცადა რეორგანიზაცია და სტატუსი „სააქციო საზოგადოება“ შეიცვალა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად“. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი #140

კომპანიის წილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

LTD Lanner Holdings Limited – 100%. თავის მხრივ LTD Lanner Holdings Limited რეგისტრირებულია გიბრალტარში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი #140-ში მდებარე უძრავი ქონების გაქირავება. (საკადასტრო მონაცემები: 01.13.04.017.038; 01.13.04.017.122; 01.13.04.017.123)

დსრ-ს რაოდენობა 2020 წელს შეადგენს 14-ს.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის“ სამსახურში წარსადგენად, ამავე სამსახურის მიედ დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია IFRS for SME სტანდარტების შესაბამისად

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად
კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ;

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს;

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალიუტაა ლარი, რადგანაც ის არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალიუტა რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალიუტაში დაფიქსირებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობებით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის მუხლში

გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს 2.6766 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს 2.8677 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს 3.2766 (USD/GEL)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება დაფუძნებულია კომპანიის მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ. დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ დებიტორული დავალიანება იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა: როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

საექვო დავალიანების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში ფასდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული შესყიდვის დანახარჯებით.

გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს აქტივისგასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან საბაზრო ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასხვისებასთან დაკავშირებული ზღვრული ხარჯები. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ხდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. ფულადი ნაკადების ამოღება ხდება მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტიდან და ისინი არ შეიცავს მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომელთა შედეგადაც გაიზრდება შესამოწმებელი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება მგრძნობიარეა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის, ასევე მოსალოდნელი შემომავალი ფულადი ნაკადებისა და ექსტრაპოლაციის მიზნებისთვის გამოყენებული ზრდის ტემპის მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია და თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე

მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ძირითადი საშუალებების კლებად კოეფიციენტს შეადგენს:

შენობები - 5%

სხვა ძირითადი საშუალებები - 20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე, 15%-იანი წლიური ამორტიზაციით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება- ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა დაგაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

საქართველოს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის დამფუძნებლებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ცხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;

საიჯარო შემოსავალი აღიარდება შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში ბასს 17-ის მიხედვით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

(დამატებითი კომენტარები)

(1) ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა – ნაგებობა	მანქანა- დანადგარ ები	საოფისე ალჭურვილო ბა	სატრანსპო რტოსაშუა ლებები	სხვა	სულ
01/01/2017	26.064	2.411.368	58.791	29.464	11.763	626	2.538.076
შემენა/გაუმჯობესება				21.657			21.657
გასხვისება							
გასვლა							
ცვეთა		120.568	11.758	8.782	2.353	50	143.511
01/01/2018	26.064	2.290.800	47.033	42.339	9.410	577	2.416.223
შემენა/გაუმჯობესება		24.189		32.623			56.812
გასხვისება		31			3.250		3.281
გასვლა							
ცვეთა		115.359	9.407	11.538	1.657	46	138.007
01/01/2019	26.064	2.199.598	37.626	63.424	4.503	531	2.331.746
შემენა/გაუმჯობესება		210.442		18.290			228.732
გასხვისება					431		431
გასვლა			1.823	180			2.003
ცვეთა		112.544	7.237	15.068	868	43	135.760
01/01/2020	26.064	2.297.496	28.565	66.466	3.205	488	2.422.285
შემენა/გაუმჯობესება			127	6.414			228.732
გასხვისება				459			431
გასვლა			369				2.003
ცვეთა		114.874	5.672	13.604	641	39	135.760
01/01/2021	26.064	2.182.622	22.651	58.817	2.564	449	2.293.167

(2; 3) გრძელვადიანი გაცემული სესხები და მათზე მისაღები პროცენტები

მოცემული მუხლი დაფორმირებულია ორი სესხისგან. კერძოდ:

ა) შპს მაუდმა სესხის გაცემა საკრედიტო ხაზის პირობებით დაიწყო შპს მაუდი მაინინგზე (ს.კ.402071379) 19/01/2018-ში შემდეგი პირობებით:

წლიური საპროცენტო განაკვეთი - 8%

გადახდის გრაფიკი - თავისუფალი გრაფიკით, არა უგვიანეს სესხის დაწყებიდან 10 წლის გასვლის შემდეგ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულ სესხზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი შეადგენდა 211 544,48 აშშ დოლარს

ბ) შპს მაუდმა გასცა სესხი „ჯი ელ ემ ჯგუფ“-ზე (ს.კ. 433646478) 50 000 აშშ დოლარის ოდენობით 19/03/2019 წელს 2 წლიანი ვადით ვადის ბოლოს გადახდის პირობით საპროცენტო განაკვეთში 7.8%. თუმცა შემდგომ მოცემული კრედიტის ვადა გახანგრძლივდა დამატებით 2 წლით.

*) აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშგებაში მოხდა 2018 და 2019 წლების ბოლოს არსებული მიუღებელი პროცენტების ნაშთების დაზუსტება. რის მიზეზსაც წარმოადგენდს ის, რომ წინა

პერიოდებში არ გვქონდა გათვალისწინებული საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება გადახდილი პროცენტის საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ. მსესხებლებმა დააკორექტირეს ჩაბარებული დეკლარაციები, რის შემდეგაც მოვახდინეთ ურთიერთ შედარება და გადავიანგარიშეთ დარიცხული (მიუღებელი) პროცენტები და ძირი.

(4) ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში და კომპანიის სალაროში არსებული თანხებისგან:

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
ნაღდი ფული სალაროში	9 870	9 988	14 070
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	129 107	1 031 071	47 662
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	4 295 964	607 161	2 965 377
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	4 434 941	1 648 220	3 027 109

(5) სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	847 882	667 313	788 706
გადახდილი ავანსები	79 605	1 253	249
სულ დებიტორული დავალიანება	927 487	668 566	788 955

**) ცხრილში ინფორმაცია მოცემულია წმინდა ღირებულებით (შექმნილი დანაკარგების რეზერვების გამოკლებით)*

კონტრაგენტების სიმცირიდან გამომდინარე, კომპანიას აქვს საშუალება ინდივიდუალურად შეაფასოს თითოეული დებიტორის ფინანსური მდგომარეობა და ამის შესაბამისად შექმნას შესაბამისი დანაკარგების რეზერვები.

რეზერვების მოცულობა წლების შემდეგნაირად გამოიყურება:

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
რეზერვისმოცულობა	15000	15124	30 474
პერიოდისგანმავლობაშიჩამოწერა			
რეზერვისხარჯიპერიოდისგანმავლობაში	15000	15124	30 474

(6) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
მარაგები	10 564	106	106
ნედლეული დამასალები			
მზა პროდუქცია	107 202	15 512	14 290
სახარჯი მასალა			
დამხმარე მასალები			
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	117 766	15 620	14 396

(7) გადავადებული საგადასახადო ვალდებულება

*) 2017 წლის 1 იანვრიდან ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდეგ აღარ უნდა აღიარდეს გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, რაც არ იყო გათვალისწინებული წინა პერიოდებში მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებში და რისი დაზუსტებაც მოვახდინეთ მიმდინარე წლის ანგარიშგებაში რეტროსპექტიულად.

(8) სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები	60 149	63 541	59 031
მიღებული ავანსები	166 685	162 553	191 978
სულ კრედიტორული დავალიანება	226 834	226 094	251 009

მიღებულ ავანსები წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულ დეპოზიტებს.

(9) საგადასახადო ვალდებულებები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
მოგების გადასახადი			60 910
საშემოსავლო გადასახადი			
გადასახდელი დღგ	42 314	45 630	12 679
იმპორტის გადასახადი			
აქციზის გადასახადი			
ქონების გადასახადი			
სულ საგადასახადო ვალდებულებები	42 314	45 630	73 589

კაპიტალი


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 11 396 242 ლარს, მათ შორის: საინვესტიციო კაპიტალი - 1 068 548 ლარი, რეზერვები - 1 169 304 ლარი, გაუნაწილებელი მოგება - 9 158 390 ლარი. კომპანიამ წარმოდგენილი ანგარიშგების პერიოდში გასცა დივიდენდი 1 743 756 ლარის ოდენობით.

თორნიკე ბოჭორიშვილი

შპს „მაუდი“-ს დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


		12/31/2020	12/31/2019	1/1/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	2,293,164	2,422,283	2,331,744
არამატერიალური აქტივები		11,050	13,000	16,359
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში				497,877
მისაღები პროცენტები	2	693,147	276,673	254,689
გაცემული სესხები	3	4,863,740	4,296,774	3,860,070
		7,861,101	7,008,730	6,960,739
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	3,027,109	1,648,220	4,434,941
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	788,955	668,566	927,487
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	14,396	15,620	117,766
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		29,280	12,946	19,847
სხვა მოკლევადიანი აქტივები				50,312
		3,859,739	2,345,352	5,550,353
მთლიანი აქტივები		11,720,840	9,354,082	12,511,092
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,068,548	1,068,548	1,068,548
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9,158,390	6,844,506	3,479,729
სხვა რეზერვები		1,169,304	1,169,304	1,169,304
		11,396,242	9,082,358	5,717,581
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				4,579,601
გადასახდელი პროცენტი				1,944,762
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	7			
				6,524,363
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	251,009	226,094	226,834
საგადასახადო ვალდებულებები	9	73,589	45,630	42,314
		324,598	271,724	269,148
მთლიანი ვალდებულებები		324,598	271,724	6,793,511
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,720,840	9,354,083	12,511,092


 თორნიკე ბოჭორიშვილი

მპს „მაული“-ს დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	4,904,624	5,485,891
თვითღირებულება	-1,224	-1,996
საერთო მოგება	4,903,400	5,483,895
სხვა შემოსავლები	483,289	413,656
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	-1,854,482	-2,200,829
მიწოდების დანახარჯები		
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		
სხვა ხარჯები	-66,181	-483,438
საოპერაციო მოგება	3,466,026	3,213,283
ფინანსური შემოსავალი	899,335	151,493
ფინანსური ხარჯი		
ფინანსური ხარჯი - წმინდა	899,335	151,493
მოგება დაბეგვრამდე	4,365,362	3,364,776
მოგების გადასახადი	-307,721	
წმინდა მოგება	4,057,641	3,364,776
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების		
გადაფასებიდან,		
გადასახადების გამოკლებით		
მთლიანი სრული შემოსავალი	4,057,641	3,364,776


 თორნიკე ბოჭორიშვილი
 მპს „მაუდი“-ს დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მაუდი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 30/08/1996-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელმაც 17/04/2019-ში განიცადა რეორგანიზაცია და სტატუსი „სააქციო საზოგადოება“ შეიცვალა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად“. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი #140

კომპანიის წილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

LTD Lanner Holdings Limited – 100%. თავის მხრივ LTD Lanner Holdings Limited რეგისტრირებულია გიბრალტარში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი #140-ში მდებარე უძრავი ქონების გაქირავება. (საკადასტრო მონაცემები: 01.13.04.017.038; 01.13.04.017.122; 01.13.04.017.123)

დსრ-ს რაოდენობა 2020 წელს შეადგენს 14-ს.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის“ სამსახურში წარსადგენად, ამავე სამსახურის მიედ დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია IFRS for SME სტანდარტების შესაბამისად

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად
კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
 - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
 - ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდთან თორმეტი თვის განმავლობაში;
- ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ;

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში;

ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს;

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალიუტაა ლარი, რადგანაც ის არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალიუტა რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალიუტაში დაფიქსირებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობებით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის მუხლში

გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს 2.6766 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს 2.8677 (USD/GEL)

გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს 3.2766 (USD/GEL)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება დაფუძნებულია კომპანიის მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ. დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ დებიტორული დავალიანება იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის გამოკლებით.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა: როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

საექვო დავალიანების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში ფასდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული შესყიდვის დანახარჯებით.

გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს აქტივისგასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან საბაზრო ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასხვისებასთან დაკავშირებული ზღვრული ხარჯები. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ხდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. ფულადი ნაკადების ამოღება ხდება მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტიდან და ისინი არ შეიცავს მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომელთა შედეგადაც გაიზრდება შესამოწმებელი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება მგრძნობიარეა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის, ასევე მოსალოდნელი შემომავალი ფულადი ნაკადებისა და ექსტრაპოლაციის მიზნებისთვის გამოყენებული ზრდის ტემპის მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია და თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით.

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე

მეტად ასახავს აქტივიდან მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ძირითადი საშუალებების კლებად კოეფიციენტს შეადგენს:

შენობები - 5%

სხვა ძირითადი საშუალებები - 20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე, 15%-იანი წლიური ამორტიზაციით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება- ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შეძენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

საქართველოს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის დამფუძნებლებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ცხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;

საიჯარო შემოსავალი აღიარდება შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში ბასს 17-ის მიხედვით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

(დამატებითი კომენტარები)

(1) ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა - ნაგებობა	მაშქანა- დანადგარ- ები	საოფისე აღჭურვილო ბა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
01/01/2017	26.064	2.411.368	58.791	29.464	11.763	626	2.538.076
შემენა/გაუმჯობესება				21.657			21.657
გასხვისება							
გასვლა							
ცვეთა		120.568	11.758	8.782	2.353	50	143.511
01/01/2018	26.064	2.290.800	47.033	42.339	9.410	577	2.416.223
შემენა/გაუმჯობესება		24.189		32.623			56.812
გასხვისება		31			3.250		3.281
გასვლა							
ცვეთა		115.359	9.407	11.538	1.657	46	138.007
01/01/2019	26.064	2.199.598	37.626	63.424	4.503	531	2.331.746
შემენა/გაუმჯობესება		210.442		18.290			228.732
გასხვისება					431		431
გასვლა			1.823	180			2.003
ცვეთა		112.544	7.237	15.068	868	43	135.760
01/01/2020	26.064	2.297.496	28.565	66.466	3.205	488	2.422.285
შემენა/გაუმჯობესება			127	6.414			228.732
გასხვისება				459			431
გასვლა			369				2.003
ცვეთა		114.874	5.672	13.604	641	39	135.760
01/01/2021	26.064	2.182.622	22.651	58.817	2.564	449	2.293.167

(2; 3) გრძელვადიანი გაცემული სესხები და მათზე მისაღები პროცენტები

მოცემული მუხლი დაფორმირებულია ორი სესხისგან. კერძოდ:

ა) შპს მაუდმა სესხის გაცემა საკრედიტო ხაზის პირობებით დაიწყო შპს მაუდი მაინინგზე (ს.კ.402071379) 19/01/2018-ში შემდეგი პირობებით:

წლიური საპროცენტო განაკვეთი - 8%

გადახდის გრაფიკი - თავისუფალი გრაფიკით, არა უგვიანეს სესხის დაწყებიდან 10 წლის გასვლის შემდეგ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულ სესხზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი შეადგენდა 211 544,48 აშშ დოლარს

ბ) შპს მაუდმა გასცა სესხი „ჯი ელ ემ ჯგუფ“-ზე (ს.კ. 433646478) 50 000 აშშ დოლარის ოდენობით 19/03/2019 წელს 2 წლიანი ვადით ვადის ბოლოს გადახდის პირობით საპროცენტო განაკვეთში 7.8%. თუმცა შემდგომ მოცემული კრედიტის ვადა გახანგრძლივდა დამატებით 2 წლით.

*) აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშგებაში მოხდა 2018 და 2019 წლების ბოლოს არსებული მიუღებელი პროცენტების ნაშთების დაზუსტება. რის მიზეზსაც წარმოადგენდს ის, რომ წინა

პერიოდებში არ გვექონდა გათვალისწინებული საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება გადახდილი პროცენტის საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ. მსესხებლებმა დააკორექტირეს ჩაბარებული დეკლარაციები, რის შემდეგაც მოვახდინეთ ურთიერთ შედარება და გადავიანგარიშეთ დარიცხული (მიუღებელი) პროცენტები და ძირი.

(4) ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში და კომპანიის სალაროში არსებული თანხებისგან:

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
ნაღდი ფული სალაროში	9 870	9 988	14 070
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	129 107	1 031 071	47 662
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	4 295 964	607 161	2 965 377
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	4 434 941	1 648 220	3 027 109

(5) სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	847 882	667 313	788 706
გადახდილი ავანსები	79 605	1 253	249
სულ დებიტორული დავალიანება	927 487	668 566	788 955

**) ცხრილში ინფორმაცია მოცემულია წმინდა ღირებულებით (შექმნილი დანაკარგების რეზერვების გამოკლებით)*

კონტრაგენტების სიმცირიდან გამომდინარე, კომპანიას აქვს საშუალება ინდივიდუალურად შეაფასოს თითოეული დებიტორის ფინანსური მდგომარეობა და ამის შესაბამისად შექმნას შესაბამისი დანაკარგების რეზერვები.

რეზერვების მოცულობა წლების შემდეგნაირად გამოიყურება:

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
რეზერვისმოცულობა	15000	15124	30 474
პერიოდისგანმავლობაშიჩამოწერა			
რეზერვისხარჯიპერიოდისგანმავლობაში	15000	15124	30 474

(6) სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
მარაგები	10 564	106	106
ნედლეული დამასალები			
მზა პროდუქცია	107 202	15 512	14 290
სახარჯი მასალა			
დამხმარე მასალები			
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	117 766	15 620	14 396

(7) გადავადებული საგადასახადო ვალდებულება

*) 2017 წლის 1 იანვრიდან ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდეგ აღარ უნდა აღიარდეს გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, რაც არ იყო გათვალისწინებული წინა პერიოდებში მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებში და რისი დაზუსტებაც მოვახდინეთ მიმდინარე წლის ანგარიშგებაში რეტროსპექტიულად.

(8) სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები	60 149	63 541	59 031
მიღებული ავანსები	166 685	162 553	191 978
სულ კრედიტორული დავალიანება	226 834	226 094	251 009


მიღებულ ავანსები წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულ დეპოზიტებს.

(9) საგადასახადო ვალდებულებები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
მოგების გადასახადი			60 910
საშემოსავლო გადასახადი			
გადასახდელი დღგ	42 314	45 630	12 679
იმპორტის გადასახადი			
აქციზის გადასახადი			
ქონების გადასახადი			
სულ საგადასახადო ვალდებულებები	42 314	45 630	73 589

კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს 11 396 242 ლარს, მათ შორის: საინვესტიციო კაპიტალი - 1 068 548 ლარი, რეზერვები - 1 169 304 ლარი, გაუნაწილებელი მოგება - 9 158 390 ლარი. კომპანიამ წარმოდგენილი ანგარიშგების პერიოდში გასცა დივიდენდი 1 743 756 ლარის ოდენობით.



თორნიკე ბოჭორიშვილი

მპს „მაუდი“-ს დირექტორი